

მუზეუმებო, მოემზადეთ ორგანიზებისთვის!

მუზეუმები წარმოადგენენ მუზეუმის საერთაშორისო დღის ელჩებს. მათ მიერ ორგანიზებული აქტივობათა მეშვეობით მუზეუმებს მჭიდრო კავშირი აქვთ საკუთარ აუდიტორიასთან, ეს ღონისძიებები კი წლიდან წლამდე უფრო და უფრო წარმატებული ხდება.

- ✚ განავითარეთ პარტნიორობა სკოლებთან, ასოციაციებთან, სხვა მუზეუმებთან და სხვ.
- ✚ გამოიყენეთ და გაავრცელეთ ღონისძიების ვიზუალური მასალები თქვენს აქტივობათა ეფექტურად გასავრცელებლად მსოფლიოში;
- ✚ გაავრცელეთ ინფორმაცია მუზეუმის საერთაშორისო დღის შესახებ ინტერნეტ-სივრცის (ვებ-გვერდი, სოციალური მედია და სხვ.) საშუალებით;
- ✚ გააგზავნეთ პრეს-რელიზები მუზეუმის საერთაშორისო დღის შესახებ ან მოაწყვეთ პრეს-კონფერენცია ღონისძიების თაობაზე მუზეუმში;
- ✚ მოახდინეთ საერთაშორისო ყურადღების კონცენტრირება თქვენს აქტივობებზე: ინფორმაციის გავრცელება ICOM-ის ქსელის მეშვეობით, რომელიც ასევე ქმნის ღონისძიებებს არქივს.

network.icom.museum/international-museum-day/

რეკომენდაციას გიწევთ გაიაროთ 8 მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

1. სამიზნე აუდიტორია

რეგულარული ვიზიტორები? ახალი პუბლიკა? სოციალურად დაუცველი ადამიანები?

სპეციფიკური პუბლიკა: ბავშვები, მოზარდები, პენსიონერები, შშმ პირები და სხვ.?

2. განსაზღვრეთ თქვენი მიზნები

ახალი პუბლიკის მოზიდვა? სხვადასხვა ტიპის ვიზიტორების მოზიდვა? მუზეუმის მიმზიდველობის გაზრდა? საზოგადოებაში შენი სოციალური როლის ხაზგასმა? ხელისუფლებისათვის ხმის მიწვდენა? პოტენციური პარტნიორებისათვის თქვენი ინსტიტუციის გაცნობა?

3. თქვენი მუზეუმის ადგილის განსაზღვრა/პოზიციონირება

მიზნები, რომლებსაც თქვენ ადგენთ, დაკავშირებული უნდა იყოს თქვენს მუზეუმთან. მუზეუმის საერთაშორისო დღე გვეხმარება ვაჩვენოთ მუზეუმების სოციალური როლი მათი სხვადასხვა ასპექტის ხაზგასმით. არის თუ არა ინოვაციური მუზეუმი? ეხმიანება თუ არა სოციალურ საკითხებს? დინამიკურია? აუდიტორიასთან აქტიურ კონტაქტშია? ტურიზმს ხელს უწყობს?

4. ინსტიტუციური პარტნიორობისა და სპონსორობის განვითარება

მუზეუმის საერთაშორისო დღე წარმოადგენს ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორობის ჩამოყალიბების საშუალებას, რაც დაკავშირებულია კოლექციებთან, მედიატორობასა და დაფინანსებასთან. თანამშრომლობა შეიძლება შედგეს მუზეუმის პროფესიონალებთან, სხვა მუზეუმებთან, ასოციაციებთან, კერძო კომპანიებთან და სხვ.

5. ზუსტი ბიუჯეტის ჩამოყალიბება

მუზეუმის საერთაშორისო დღის აქტივობები შეიძლება როგორც დიდ, ასევე მცირე ინსტიტუციებშიც გაიმართოს. აუცილებელი ადამიანური და ფინანსური რესურსებიც დამოკიდებულია ამ ღონისძიებების მასშტაბებზე.

6. შექმენით მოულოდნელი პროგრამა, რომელიც თქვენი წარმატების გასაღები იქნება.

მაგალითები იხილეთ შემდეგ ბმულზე: [International Museum Day activities in the past](#)

7. ჩამოაყალიბეთ კომუნიკაციისა და პოპულარიზაციის სტრატეგია

ჩვენ შექმენით რიგი კომუნიკაციური საშუალებები *a set of communications tools*, რაც დაგეხმარებათ თქვენი სტრატეგიის შესრულებაში. ICOM და მისი ქსელიც საკომუნიკაციო არხის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

8. ღონისძიებების შეფასება

მნიშვნელოვანია, რომ გაანალიზოთ მუზეუმის საერთაშორისო დღის წარმატება და მისი გავლენის ეფექტურობა. ამიტომაც მკაფიოდ უნდა განისაზღვროს წარმატების კრიტერიუმები, რაც პირდაპირ კავშირში იქნება მიზნებთან. ინდიკატორების რამდენიმე მაგალითია: დასწრებადობა, გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება და მედია-რესურსების რაოდენობა, რისი საშუალებითაც გავრცელდა ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ.